პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 6 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი არმიელი

226 (924) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელეფონი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ3. სტრ

## ღირსეულად შევხვდეთ ახალ ძალებს!

ახალგაზრდობის ჯარში გაწვევა უკვე დაიწყო. დღეს თუ ხვალ გასაწვევ პუნქტებიდან წვეულები გაეშურებიან წითელი ჯარის რიგებისაკენ. წითელი ყაზარმა მზად უნდა იყოს მათ მისაღებად. მეთაურები, პოლიტმომუშავენი მომზადებული უნდა შეხვდენ ახალწვეულებს. ღირსეული შეხვედრა უნდა გაუმართონ თავის ახალ ამხანაგებს ძველმა წითელ არმიელებმაც. ახალ წვეულების პირველ მოსვლას, მათ პირველ გაცნობას წითელ ყაზარმასთან და მის ცხოვრებასთან დიდი მნიშვნელობა აქვს. წითელ ჯარში პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე ახალწვეულმა სავსებით უნდა იგრძნოს მისი (წითელი ჯარის) დიადი მნიშვნელობა და როლი. ყაზარმაში მოსვლის პირველ დღიდანვე ახალგაზრდა წითელი არმიელი უნდა გაიმსჭვალოს თავის ახალი მუშაობის პასუხისმგებლობით. მან სავსებით უნდა შეიგნოს თავისი დანიშნულება წითელი არმიის საერთო სწავლასა და მუშაობაში. აი მთავარი, ძირითადი ამოცანა, რომელსაც უნდა მივაღწიოთ შეხვედრის მომენტში.

მაშინ ახალწვეულის სამხედრო-პოლიტიკური აღზრდის საქმე თავიდანვე სწორი გზით წარიმართება.

ამიტომაც ჩვენი ნაწილის მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობას მართებს თავიდანვე ისეთი ხაზი დაიკავონ ახალწვეულების მიდგომაში, რომ მიაღწიონ ზემოთ ნახსენებ მიზანს.

ძველმა წითელ არმიელებმა თავიდანვე უნდა დაუახლოვდენ ახალწვეულებს და როგორც პირადი მაგალითით, ისე ამხანაგური დარიგებებით თანდათანობით უნდა გააცნონ ისინი წითელი ყაზარმის წესებსა და მუშაობას.

ლენკუთხეები, სამკითხველოები, კლუბები ყველანი მზად უნდა იყვნენ ახალწვეულების შესახვედრათ.

სამხკორებს კი მართებთ ერთხელ და სამუდამოთ გამოასწორონ თავისი ჩვეულებრივი ნაკლი—ეს მნიშვნელოვანი მომენტების ყოველთვის ყურადღებიდან გაშვება.

ახალწვეულების ჯარში მოსვლის და მათთან შეხვედრის მომენტი გაშუქებულ უნდა იქნას ყოველ მხრივ, შინაარსიანად და ვრცლად.

არც ერთი მნიშვნელოვანი, დამახასიათებელი ფაქტი, რომელიც ეხება ახალგაზრდა წითელ არმიელების სულიერ განწყობილებას, მათ შთაბეჭდილებებს და სხვა არ უნდა დარჩეს გამოტოვებული სამხკორის მიერ.

ჩვენმა სამხკორებმა ყოველ მხრივ უნდა ეცადონ რათა გაწვევის მთელი პერიოდი ფართედ იქმნას გაშუქებული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ღირსეულად შევხვდეთ წითელი ჯარის ახალ ძალებს!

## ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა.

## ბრძოლა კანტონისათვის.

გაზეთები იტყობინებიან, რომ ვამპუს სამხედრო სკოლის რაზმებმა სავატოუს მიდამოებში სძლიეს ჩჟან—ძზო—ლინის ჯარებს და აიძულეს ისინი დაეხიათ სამხრეთისაკენ.

იტყობინებიან აგრეთვე, რომ კსიუ—ჩჟუნ—ჩჟი გაემგზავრა კანტონიდან შანხაიში. მისი ნაწილები რეორგანიზაციის (გადახალისების) შემდეგ შეუერთდებიან კანტონის გადახალისებულ ჯარებს.

## შანხაის ყველა პროფკავშირების გაშვება.

შანხაის სამხედრო ხელისუფლებებმა გამოსცეს ბრძანება, რომლის თანახმად გაშვებული უნდა იქნენ შანხაის ყველა პროფკავშირები, რომლებშიდაც ირიცხებოდა ასზე მეტი წევრი.

შანხაის პროფკავშირთა საბჭოს წევრები დატუსაღებული არიან სამხედრო საპატიმროში და მოსალოდნელია მათი დახვრეტა.

# ახალი რადიო-ამბები

## შანხაის ამბების გამოკვლევა.

უცხოელების მიერ შანხაის ამბების გამორკვევისათვის შედგენილ კომისიისადმი მიუხედავად მრავალი პროტესტებისა, ჩინეთის მთავრობა მაინც მიდის დათმობაზე. კომისიის მიერ განსახილველი საკითხი გაიყოფა ორ ნაწილად: შანხაის მუნიციპალიტეტის (თვითმართველობა) რეორგანიზაცია (გადახალისება) ჩინეთის მცხოვრებთა წარმომადგენლობის დაშვებით, შანხაის ამბების პასუხისმგებლობის საკითხში. მთავრობა თანხმდება, რომ სხვა საკითხები, რომლებიც ეხებიან უცხოელ სახელმწიფოთა და ჩინეთის დამოკიდებულებას განხილული იქნენ შემდეგში ცალკე.

გაზეთების ცნობით ამ მოლაპარაკების შედეგებს ხვალვე გამოაშკარავებს ურთიერთისადმი მიმართული ნოტები.

## გაფიცვები შანხაიში გრძელდება.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, საგაფიცვო მოძრაობა შანხაიში გრძელდება. იაპონიის ზოგიერთ წარმოებებში, მწარმოებლებისაგან ხელშეკრულების დარღვევის გამო დაიწყო გაფიცვები.

## ჩიჩერინის მოგზაურობის გარშემო.

### ჩიჩერინის მოგზაურობა საყოველთაო ყურადღების საგანია.

ვარშავიდან ჩამოსულმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის მრჩეველმა პოლონეთში ბესიადოვსკიმ, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ჩიჩერინის მისვლა ვარშავში გადაიქცა პირველ ხარისხოვან მნიშვნელობის პოლიტიკურ შემთხვევად. ჩიჩერინის გამგზავრებასა და შეხვედრას დიდი ზეიმის ხასიათი ჰქონდა, როგორსაც პოლონეთი აწარმოებდა მხოლოდ თავის მოკავშირე სახელმწიფოების მინისტრების მიმართ.



ამხ. ჩიჩერინი.

ჩიჩერინი საზღვრამდი მიაცილა საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელ მოხელეებმა.

ვარშავაში ყოფნის განმავლობაში ჩიჩერინი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო.

## საუბარი პოლონეთის რწმუნებულთან შვეციაში.

**პოლონეთ-საბჭოთა მეგობრული კავშირის დამყარებით იმპერიალისტურ ქვეყნებმა დაჰკარგეს საბჭოთა საწინააღმდეგო იარაღი.**

შვეციაში მყოფმა პოლონეთის რწმუნებულმა ვისოცკიმ ერთ-ერთ შვეციის გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ მეგობრულ განწყობილების დამყარებას პოლონეთსა და საბჭოთა კავშ. შორის, რომლის მიზანია ინგლისის მტრული პოლიტიკის დამარცხება, დიდის კმაყოფილებით უნდა შეხვდენ ევროპის ყველა ქვეყნებში.

ამ ჟამად, პოლონეთის მეგობრულ კავშირის გამო რუმინეთსა და ბალტიის სხვა ქვეყნებთან—ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდი დამყარდა მტკიცე მშვიდობიანობა.

დასასრულ ვისოცკიმ განაცხადა, რომ ეს გარემოება არავითარ გავლენას არ მოახდენს პოლონეთსა და საფრანგეთს შორის და პოლონეთის დამოკიდებულებაზე სხვა სახელმწიფოებთან. ისეთი წარმოდგენა, რომ პოლონეთი შეიძლება გამოყენებულ იქნას საბჭოთა საწინააღმდეგო პოლიტიკის იარაღად, უსაფუძვლო გამოდგა.

ჩიჩერინის შესახებ ვისოცკი ლაპარაკობს დიდის პატივცემით.

## ამხ. განეცკი გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

გერმანია—საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ გერმანიასთან მოლაპარაკების საქმეში დანიშნულ საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ განეცკიმ საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს აცნობა შემდეგი:

„მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ მართლაც დამთავრებულია. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭო მოკლე დროში განიხილავს დელეგაციების მიერ გამომუშავებულ ხელშეკრულების გეგმას. დელეგაცია იმედოვნებს, რომ სახალხო კომისართა საბჭო მოიწონებს ხელშეკრულების გეგმას.

ამრიგად შეგვიძლია იმედი ვქონიოთ, რომ ხელშეკრულება მოწერილ იქნება ახლო დროში, თუ რომ არ წამოიჭრება ახალი საკითხები".

## ავსტრიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციის დაბრუნება.

### საბჭოთა პროლეტარიატის გზა—ერთად ერთი სწორი გზაა, რომელიც მიდის სოციალიზმისაკენ.

სამშობლოში დაბრუნების წინ ავსტრიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციამ მიმართა მიწოდებით ავსტრიისა და ყველა ქვეყნების ახალგაზრდა პროლეტარებს, რომელშიაც ნათქვამია: „დელეგაცია, რომელმაც იმოგზაურა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მართლაც პროლეტარულ სახელმწიფოს, რომელშიაც მუშებისა და გლეხების ფართე მასებს უკავია თავის ხელში სახელმწიფო სადავე.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გზა—ერთად-ერთი სწორი გზაა, რომელიც მიდის სოციალიზმისაკენ.

## უმუშევრობა ჩეხო-სლოვაკიაში.

**გამოქცეული მუშები.**

კიევში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიიდან გამოქცეული მუშები, რომლებიც გამოვიდენ იქედან ორი კვირის უკან.

მუშები ამბობენ, რომ ჩეხო-სლოვაკიაში დიდი უმუშევრობაა: უმუშევრადაა მშრომელთა 50 პროც. ქარხნების უმეტესობა მუშაობს კვირაში სამ დღეს.

უღარიბესი მოსახლეობა, განსაკუთრებით გლეხობა კვნესის გადასახადების სიმძიმის ქვეშ.

## ამერიკის გაზეთი ჭიათურის შავი ქვის შესახებ.

ამერიკის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა მიმოხილვა მარგანეცის დამუშავებისა და ხმარების შესახებ. მიმოხილვაში ნათქვამია:

„ყოველ დღიურად მთელ ქვეყნებში იხმარება 1.750.000 ტონა მარგანეცი. უფრო მდიდარი ჩანაწოლები მარგანეცის რუსეთში, ინდოეთში და ბრაზილიაშია. ეს სამი ქვეყანა აკმაყოფილებდა ომამდი მსოფლიო მოთხოვნილების 95%-ს. ჭიათურის მადნები, რომლებიც იძლეოდენ ომამდი რუსეთის მარგანეცის 3/4, უდრის 146.250.000 ტონს. დანარჩენ ქვეყნებში მადნის შემოსავალი გაცილებით ნაკლებია.

თუ ნორმალურათ იქნება დამუშავებული ჭიათურის მადაროები, მისი ნაწარმოები იკმარებს 2 საუკუნეს და უზრუნველყოფილი იქნება მსოფლიო ბაზარი.

## საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო.

ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ 3 ოქტომბერს კალეში გადმოვიდა ჩემბერლენი, რომელიც მიემართება ლოკარნოში საგარანტიო ხელშეკრულების კონფერენციაზე. გზად ჩემბერლენი შეჩერდება პარიზში.

## აბდ-ელ-ქერიმის ბანაკში.

ჰავასის სააგენტოს ცნობით კაბილების ბელადებმა უარი განაცხადეს აბდ-ელ-ქერიმის დახმარებაზე.

სააგენტო იტყობინება აგრეთვე, რომ შემჩნეულია ნიშნები მორჩილების გამოცხადებისა იმ ტომების მხრივ, რომლებიც დღემდის მხარს უჭერდენ აბდ-ელ-ქერიმს.

## ფრანგები შეტევაზე გადადიან სირიაში.

ჰავასის სააგენტო იტყობინება ბეირუტიდან, რომ საფრანგეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევა აჯანყებულ დრუზების წინაამდეგ სადგურ ერეს რაიონებში, დამასკიდან სამხრეთით 70 ვერსზე.

## ჩეხიის მასწავლებლებს არ უშვებენ საბჭოთა კავშირში.

პრაგის ქალაქის სამმართველომ ხმის უმეტესობით უარი უყო მასწავლებელთა ჯგუფის შუამდგომლობა ერთი თვის შვებულებაზე, საბჭოთა კავშირში მოგზაურობისთვის. მასწავლებელთა ჯგუფის მიზანი იყო გაცნობოდენ სასკოლო საქმეს საბჭოთა კავშირში.

## იტალიელი პოლიტიკური ემიგრანტები საქართველოში.

ამას წინეთ იტალიიდან ჩამოვიდენ იტალიელ პოლიტ ემიგრანტთა წარმომადგენლები, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდენ საქართველოს მთავრობასთან, საქართველოში იტალიელ პოლიტ-ემიგრანტების გადმოსახლების შესახებ.

ჩვენი მთავრობა მათ შეპირდა დახმარებას და ისინი წავიდენ კახეთში, რომ დაეთვალიერებიათ ადგილები.

იტალიელი ამხანაგები აღტაცებულნი იყვნენ საქართველოს ბუნებით. მათ განაცხადეს, რომ არსად ისეთი სილამაზე არ უნახავთ, როგორც კახეთში ალაზნის ველი.

იტალიაში უკან დაბრუნებისას მათ გადასცეს ჩვენს თანამშრომელს „წერილი ქართველ გლეხებს“, რომელსაც ჩვენ ვათავსებთ აქვე.

„ამხანაგი მარაბინი—იტალიის კომუნისტური პარტიის უხუცესი წევრი, უდიდესი აღტაცებით და ღრმა სოლიდარობის გრძნობით ესალმება საქართველოს გლეხობას, მან, ვინც შეისწავლა კომუნიზმის გზა, ვისაც უცხოვრია იტალიის გლეხობის ტანჯვა-წვალებით,—იგრძნო დიდი შვება და სიხარული თავისუფალი ქართველი გლეხობის ხილვით თავისუფალ ქვეყანაში. საქართველოს ნაყოფიერი მიწა და საქართველოს ბრწყინვალე მზე, ქართველი გლეხობის ბუნებრივ ჭკუა-მახვილობასთან ერთად შეჰქმნიან ამ შესანიშნავი და ულამაზესი ქვეყნიდან პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობის შესანიშნავ სახელოსნოს.

ამ ღრმა რწმენით, ვესალმები ქართულ სოფელს და მის მოსახლეობას და ვამბობ:

გაუმარჯოს საქართველოს მუშებს და გლეხებს!

ანსელმო მარაბინი“.

**წერილი ამხ. მიხა ჩოდრიშვილს.**

„ამხ. ჩოდრიშვილს, კაცობრიობის ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ძველ მებრძოლს, საქართველოს მუშებისა და გლეხების დარბაისელ წარმომადგენელს და მისი განთავისუფლების სიმბოლოს, პროლეტარული რევოლიუციის დამსახურებულ მოამაგეს, ვესალმები იტალიის ჩაგრული მუშების სახელით და გამოვსთქვამ მისდამი უღრმესი პატივისცემისა და სოლიდარობის გრძნობას.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა და გლეხთა განთავისუფლების საქმეს.

ანსელმო მარაბინი“.

# საბჭოთა კავშირში

## ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციას დროშებით და პლაკატებით მიეგება ხალხი სადგურ კაიდანოვოზე.

გუშინ საღამოს დელეგაცია მივიდა სადგურ მინსკში.

სადგურის ბაქანზე თავი მოიყარა რამოდენიმე ათასმა კაცმა. ისმოდა მისალმების ამოძახილები. სტუმრებს მიესალმა ბელორუსიის მთავრობის და პროფკავშირთა წარმომადგენლები.

ჩეხო-სლოვაკიის მუშებს განზრახული აქვთ შემოიარონ საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ადგილები და დაწვრილებით გაეცნონ მუშათა მდგომარეობას, მრეწველობასა და სხვა.

## წითელარმიაში გაწვევა ბრწყინვალედ ტარდება.

გაწვევის მესამე დღე მოსკოვში ისეთივე წარმატებით ჩატარდა, როგორც პირველი დღეები. რაიონების გამწვევი კომისიების წარმომადგენლების ცნობით გასაწვევ წერტებზე ასივე პროცენტი ცხადდება.

# სამხედრო საქმე

## ძიება არმიის „თვალი და ყური“.

**როგორი უნდა იყოს ქვეითი მძიებელი.**

თუ რა მნიშვნელობა აქვს ქვეითა ძიებას არმიაში, ეს უკვე გაშუქებული იყო გაზეთში. ეხლა საჭიროა გავარჩიოთ და ნათელვყოთ, რა მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს ქვეითი მძიებელი.

ჩვეულებრივად მძიებელთა შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეომრის შემდეგ თვისებებს: კარგ სმენას, მხედველობას, ამტანობას, სწრაფ მოფიქრებას, სიმარდეს და სხვა. აი ყველა ის თვისებები, რომლებითაც უნდა განირჩეოდეს ქვეითი მძიებელი. გარდა ამისა, ქვეითი მძიებელი უნდა იყოს კარგი მებრძოლი. ჩვეულებრივად ამბობენ (მძიებელთა შესახებ): „არა ყველა მებრძოლს შეუძლია იყოს კარგი მძიებელი, მაგრამ ყოველი მძიებელი უნდა იყოს კარგი მებრძოლი“. ეს განსაზღვრა კარგად აღნიშნავს იმ მაღალ მომზადებას, როგორიც უნდა ჰქონდეს თვითეულ ქვეით მძიებელს. მძიებლის ზემოაღნიშნულ თვისებებს საჭიროა დავუმატოთ კიდევ შემდეგი: მძიებელი უნდა განირჩეოდეს მშვიდი ხასიათით და იმავე დროს უნდა იყოს უებრო მამაცი.

დღე და ღამის ყოველ დროს, რაგინდარა ადგილზე, მძიებელმა, დარჩება რა თავისი საკუთარი ძალის ამარა, უნდა მოიფიქროს, თუ როგორ იმოქმედოს, რათა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოიტანოს.

ქვეითი მძიებელი უბრალო ქვეითი—მებრძოლი კი არაა. თუ რომ ჩვეულებრივი ქვეითი მებრძოლი ხშირად გრძნობს თავის თავზე უახლოეს უფროსის ნება-სურვილსა და განყოფილებაში თავისი ამხანაგის მეზობლობას, თუ რომ ასეთი ქვეითი მებრძოლი ხანდახან დაიბნევა და ვერ მოიფიქრებს რაშია საქმე, იმ შემთხვევაში მეზობელი ამხანაგები აუხსნიან მას და იხსნიან ხიფათისაგან, ხოლო უახლოესი უფროსი გასცემს თავის დროზე განკარგულებას და კარგად ახსნის მას.

გაიხედავ და ქვეით-მებრძოლმა ასრულა ყველაფერი ისე, როგორც ეს საჭირო იყო.

მძიებლის შესახებ ამის თქმა არ შეიძლება. ვსთქვათ, ცოტა შეეშინდა და შეფორხილდა, მტერი ზე წამოგადგება თავს; მას ხომ არ სძინავს. და აი მაშინ, სარგებლის მაგივრად, მძიებელს მოაქვს მხოლოდ ზიანი საქმისთვის, ხოლო ხშირად კი თვითონაც იღუპება.

ქვეითი მძიებელი პასუხისმგებელი მეომარია და მის ცოდნაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ყოველი ბრძოლა, ლაშქრობა და დასვენებულ ჯარების დაცვა მოითხოვს მტრის ძალების სამყოფ ადგილების გამორკვევას, ურომლისოდაც ვერც ერთი უფროსი ვერ დაიწყებს ბრძოლას, ხოლო თუ დაიწყებს, მოუხდება ბრმად მოქმედება, რასაც ხშირად დამარცხება მოსდევს.

გავარჩიეთ რა ყველა მოთხოვნილებები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მძიებელი, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მოთხოვნილება ქვეით მძიებელს შეიძლება წარედგინოს მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს.

ასეთ მომზადებას ძალიან უწყობს ხელს სხვა და სხვა სახის ნადირობა.

თუ რომ მეომარი კვალს დაუკვლევს მხეცს ან ფრინველს და მოჰკლავს ან დასჭრის, მტერიც ვერ გაექცევა მას ადვილად. მართალია, აქ არის განსხვავებაც, მაგალითად, კურდღელი, ან იხვი მძიებელზე არ ნადირობენ და მას არ ესვრიან (როგორც ამას მტერი ჩადის), მაგრამ ნადირობა ავითარებს მძიებელს და ასწავლის ამტანობას.

ი. ბარ.

## კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ.

**მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში სამსახური ყველა მშრომელის საპატიო უფლებაა.**

რამოდენიმე დღის წინეთ საბჭოთა კავშირის ცაკმა გამოაქვეყნა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ კანონი. კანონი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის დაცვა შეადგენს თვითეულ მშრომელის არა მარტო საპატიო უფლებას, არამედ მოვალეობასაც. ამ კანონის ძალით არც ერთ არა მშრომელს საერთოდ, იმათ ვინც საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან, არ აქვთ უფლება სამხედრო მოვალეობის პირდაპირ შესრულების.

მათ, მხოლოდ, მშვიდობიან დროს გადაახდევინებენ განსაკუთრებულ სამხედრო გადასახადს.

სამხედრო სამსახურში გაიწვევიან 19 წლიდან 41 წლამდე ყველა მშრომელთათვის, რომლებიც ცნობილი იქნება თავისი ჯანმრთელობით ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის, კანონი მტკიცე ვადებს აწესებს. სახელდობრ, ქვეითა ჯარში ორი წლით, სპეციალურ ნაწილებში 3 წლით, საზღვაო ფლოტში კი ოთხი წლით. ნამდვილ სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ კი, სამხედრო ვალდებულნი გადაირიცხებიან თადარიგში.

რაც შეეხება უფშემადგენლობას, ისინი ნამდვილ სამხედრო სამსახურის ვადის დასრულების შემდეგ გადაირიცხებიან არმიის თადარიგში, აქედან ნაწილი ცვალებადელთა შემადგენლობაში, ნაწილიც მონაწილეობას იღებს მშრომელ მოსახლეობის წვევამდე სამხედრო მომზადებაში.

ახალი კანონი მით არის დიდმნიშვნელოვანი, რომ მუშათა და გლეხთა წითელ არმიის კლასობრივობას ხაზს უსვამს. ჩვენი წითელი არმია—მუშათა და გლეხთა არმიაა. მასში არ აქვს ადგილი არა მშრომელ ელემენტს. წითელ არმიელებს და უფშემადგენლობას უნდა ახსოვდეთ, რომ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ მათ მიანდო საპატიო მოვალეობა—იარაღით ხელში დაიცვას საბჭოთა კავშირი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა თავდასხმისაგან. მუშები და გლეხები მოითხოვენ, რომ ეს მოვალეობა სისწორით, შეგნებით და კეთილსინდისიერად იქმნას შესრულებული. ჩვენ ვალდებული ვართ უდიდესი ყურადღება მივაქციოთ ჩვენს მუშურ-გლეხურ წითელ არმიის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებას, იმიტომ რომ, მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში კაპიტალისტები გადავიდნენ შეტევაზე მუშათა კლასზე.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ ყოველ დღე ვკითხულობთ გაზეთებში ცნობებს, რომ უნგრეთში, რუმინიაში, იტალიაში, პოლონეთში და იაპონიაში გაძლიერებული ენერგიით განახლდა მუშათა დევნა, დაპატიმრება და დახვრეტა. ამასთანავე ერთად ბურჟუაზია აწარმოებს გაცხარებულ კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამისათვის ისინი ათასნაირ ხრიკებს მიმართავენ, ავრცელებენ ჭორებს, თხზავენ ყალბ წერილებს და სხვა ათასგვარ სიცრუეებს. რით აიხსნება ეს შემოტევა საბჭოთა კავშირზე? ერთის მხრივ ყველა ქვეყნის მუშათა კომუნისტურ პარტიების ჩვენდამი თანაგრძნობის ზრდით და მეორეს მხრივ ჩვენი კავშირის ძლიერების შეუჩერებლივ ზრდით. მათი სურვილია ორ მიზანს მიაღწიონ თავიანთ ქვეყნებში დაასუსტონ მუშათა მოძრაობა და ამ ხმაურობაში მოემზადონ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ. ბურჟუაზია ამ ბოლო დროს ხშირად გაიძახის განიარაღებაზე. მათი თვალთმაქცობა და სიფლიდე აშკარად დამტკიცდა ჯერ კიდევ 1922 წელს გენუას კონფერენციაზე, სადაც საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა ნამდვილ და არა მარტო სიტყვით, განიარაღების შესახებ, რაზედაც იმათმა გადაჭრილი უარი უთხრეს. და შემდეგშიაც მიუხედავათ მრავალგვარ მშვიდობიან ხელშეკრულებისა, იაპონიის, ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის და პოლონეთის შეიარაღება გიგანტიურ ნაბიჯით მიდის წინ. ყველა ეს მოვლენები ჩვენ გვაკარნახებენ ფხიზლად ვიყოთ ჩვენს სადარაჯოზე. რესპუბლიკის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს პოლიტ-სამმართველოს უფროსმა ამხ. ბუბნოვმა თავის უკანასკნელ სიტყვაში სთქვა: „საერთაშორისო მდგომარეობის საერთო შეფასება გვაიძულებს ჩვენ მივაქციოთ ყურადღება საბჭოთა კავშირის მოგერიების უმწვერვალეს გაძლიერებაზე“.

ნ.

# ჩვენი ტერ-ნაწილების ცხოვრება და მუშაობა

## ერთი წლის თავი ჩვენთან.

მე-2 არტლეგიონი.

4 ოქტომბერს 2-რე არტლეგიონმა იდღესასწაულა თავისი არსებობის ერთი წლის თავი. ლეგიონში წინასწარ იქნა არჩეული დღესასწაულის მომწყობი კომისია, რომელიც ენერგიულად აწარმოებდა მუშაობას.

4 ოქტომბერს დილიდან დაიწყო სამზადისი.

დილის 11 საათზე გვეწვია ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია, რომელმაც მოსვლისთანავე გამართა საუბარი წითელ არმიელებთან. ის დაწვრილებით ეკითხებოდა წითელ არმიელებს, თუ როგორ მოსწონთ მათ ტერსისტემა ან როგორ შეხვდა მას ხალხი სოფლად. ის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა აგრეთვე წითელ არმიელების ყაზარმული ცხოვრების გაგებას.

შემდეგ ჩამოიარა ყველა კარვები და დაათვალიერა წ. არმიელების ბინები. ინახულა საჭმელი, სასმელი და თითონვე გასინჯა ის, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია არმიელებში, ამხ. მიხა ცხაკაია ასეთი დარიგებით მიმართავდა ტერ-არმიელებს:

„თქვენ ხართ ტერსისტემის პიონერები, თქვენზეა დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლების ბედ-იღბალი. თქვენ უნდა შესცვალოთ ყველა თქვენი მოწინავე ამხანაგები, და თქვენი იმედით განაგრძობს მუშაობას მუშურ-გლეხური მთავრობა“.

სანამ ამხ. ცხაკაია ათვალიერებდა არმიელების ბინებს და ესაუბრებოდა მათ, მოვიდენ არტილერიის უფროსები და ჩვენი შეფი, საქართველოს პროფკავშირებიდან, რომელმაც ლეგიონს გადასცა დროშა. გამართა მისალმებები და დაუსრულებელი „ვაშას“ ძახილი. უკრავდა ლეგიონის ორკესტრი. ლეგიონმა მიიღო წითელი ფიცი, რის შემდეგ ვრცელი სიტყვით მიმართა ამხ. ცხაკაიამ არმიელებს დროშის ჩაბარების მნიშვნელობაზე. ამით დათავდა საზეიმო ალლუმი.

1 საათისათვის გაიმართა საზეიმო სადილი, სადაც მრავალი მისასალმებელი სიტყვები ითქვა.

საღამოს კი საგარნიზონო კლუბში გაიმართა ლეგიონის საზეიმო სხდომა და დაიდგა აგიტპიესა „რემედასი“ და „საცოლე ერთი საათით“. ამასთან მოყვა საკონცერტო განყოფილება.

გვაჩვენეს აგრეთვე კინო სურათებიც.

წ. არმ. ვლად. ნავრუზაშვილი.

## მე-5 ტერ-ლეგიონის მანევრები.

ირიჟრაჟა! თენდება... აქა-იქ ძაღლები აყეფდენ. მათ იგრძნეს სოფლად დაბანაკებული ჯარის ლაშქრისნული მოძრაობა. გაისმა საყვირის და ბუკის ხმა და მას მოყვა მოლაშქრეების მხედრული ადგომა.

ნახევარი საათის განმავლობაში ყველამ ისაუზმეს, მოემზადენ სალაშქროდ. იგრიალა სამხედრო ორკესტრმა და გავემგზავრეთ სოფ. ჩხარის მიმართულებით.

გზა და გზა ათასეულები ასრულებდენ ტაქტიკურ ამოცანებს, რასაც მოსდევდა სამოსწავლო ვაზნებით სროლა, აგიტორთვალა გზაში ხეებზე აკრავდა ლოზუნგებს ტერმშენებლობის პროპაგანდის მიზნით. გზაში დამხვდურ გლეხებს ურიგებდით გაზეთებს, წიგნებს და სხვა და სხვა ლოზუნგებს.

მიუახლოვდით სოფ. ჩხარს. ათასეულებმა შეტევა—მოგერიებები დაათავეს. შეიკრიბენ ერთად მწყობრად და მუსიკით შევედით ს. ჩხარში. ადგილობრივ გლეხობის სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირელები დემონსტრაციით შემოგვეგებენ. რასაც ჩვენი არმიელები ვაშას ძახილით ჰფარავდენ.

ჯარი დადგა დასასვენებლად. კლუბი შეუდგა საღამოსათვის მოსაწყობ სამზადისს.

საღამოს 7 საათზედ მოწვეული იქნა მიტინგზე ადგილობრივი მოსახლეობა; მისასალმებელი სიტყვით გამოვიდენ კომპარტიის პ.-მ. მდივანი, კომკავშირის წევრი და ნორჩი პიონერი. მიტინგის შემდეგ გაშვებული იქნა მოძრავი ეკრანზე რევოლიუციონერი დრამა: „არსენა ყაჩაღი“ და „არსენა ჯორჯიაშვილი“. მოსახლეობა დიდის სიმხიარულით და კმაყოფილებით დაიშალა. მეორე დღეს კლუბმა გამოუშვა კედლის გაზეთი „წითელი მებრძოლი“, რომლის მთელი შინაარსი გლეხობასთან კავშირსა და მის მშენებლობა აღორძინებას შეიცავდა.

აგიტორთვალმა ლეგიონის სახელით ჩხარის სამკითხველოს შესწირა ლიტერატურა და ლოზუნგ-პლაკატები. სასპორტო წრემ მოაწყო თავისუფალი ვარჯიში, მძლეოსნობა და ფეხბურთა შეჯიბრი ადგილობრივ ფეხბურთელ ვუნდთან.

შედეგი 4—0, ლეგიონის სასარგებლოთ. შთაბეჭდილება მოსახლეობაზედ ძლიერ კარგია.

სამხკორი ცაცა.

## ლენკარვების მუშაობა.

მე-6 ტერ-ლეგიონის მე-3 ათასეული.

ლეგიონში მივლინების დღიდან კურსანტებმა უმთავრესი ყურადღება მივაქციეთ ლენკარვების ჩამოყალიბებას და კიდეც მოვაწესრიგეთ ისინი პოლიტ-ხელ ამხ. ახ—ელის ხელმძღვანელობით. ჩვენს ათასეულში არის 3 ლენკარავი და მათთან ერთად არსებობს ასეულის ბიბლიოთეკები, რომლებიც ეხმარებიან ტერარმიელების აღზრდაში ბირთვებს.

ლენკარვებში ჩამოყალიბდენ სხვა და სხვა ბირთვები, როგორიც პოლიტ-სამხედრო, მკითხველთა და ტეხნიკური ხასიათის. თითეულ ბირთვს ჰყავს სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები, როგორც კურსანტები, ისე უფ და პოლიტ-შემადგენლობიდან.

თითეული ბირთვი ამუშავებს კონსპექტებს კოლექტიურად და შემდეგ კი ხელმძღვანელების მეოხებით ინიშნება ბირთვის წევრი მომხსენებლად, რომელიც ატარებს ფართე მასასთან საუბარს. საუბრის დროს წამოჭრილ გაურკვეველ სიტყვებს ახსნა-განმარტებას აძლევს ბირთვის ხელმძღვანელები. რაც შეეხება პლაკატებს, ბირთვებს არ დაუმუშავებიათ. მკითხველთა ბირთვი თავის სიმაღლეზე იდგა. ატარებდა ხმამაღალ კითხვას, იმ თემებიდან, რომლებიც გაიარეს ზემოთ ჩამოთვლილ ბირთვებმა, მხოლოთ გაზეთებიდან და წიგნებიდან.

მეცადინეობა მიმდინარეობდა სკოლის გარეშე მუშაობის გეგმის თანახმად. ყველა ბირთვები სისტემატიურად ესწრებოდენ. ბირთვების გარდა მეცადინეობას ფართო არმიელთა მასაც ესწრებოდა. მეცადინეობას აწარმოებდენ ბიბ-გამგეები.

სამხედრო და პოლიტ ბირთვების მეცადინეობას ყველა ასრულებდა. დაესწრენ 303 ტერ-არმიელი, ხოლო მკითხველთა ბირთვის მეცადინეობაზე 400 ტერ-არმიელი.

ტეხნიკური ბირთვი ზრუნავდა ლენკარვის გამშვენიერებაზე.

რაც შეეხება საერთო მუშაობას, მიმდინარეობდა კარგად, მაგრამ ხელს გვიშლიდა მასალის და დროის უქონლობა, რაც გადალახული იქნა ხელმძღვანელების მიერ. ამ ხნის განმავლობაში ათასეულმა თავის საკუთარი ტერ-არმიელთა ძალებით გამოუშვა 2 კედლის გაზეთი და გამართა რამოდენიმე წარმოდგენა.

სამხკორი ქინქლა.

## სამხედრო პოლიტ-სკოლის ცხოვრებიდან.

გაცხარებული მუშაობა სწარმოებს სკოლაში. შენობას სჭირდება ცოტა-ოდენი შეკეთება, იღებება კედლები, ისმება მინები ფანჯრებში. სწავლა კი მიმდინარეობს თავის რიგით. ყოველ დღე 8 გაკვეთილი აქვთ კურსანტებს. დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე კლასებში არიან კურსანტები, მეცადინობენ, იძენენ ცოდნას. შემდეგ სადილი, სადილის შემდეგ გაკვეთილების დამზადება და მუშაობა. დაღლილობას არავინ გრძნობს, ყველა ხალისიანათ და მხიარულათ ასრულებს დავალებას, სიზარმაცეს ადგილი არა აქვს.

— არა უშავსარა, ამ საქმესაც შევასრულებ და გაკვეთილებსაც დავამზადებ, დაღლილს უფრო ტკბილად დამეძინება—იძახის ერთი კურსანტი.

— აბა, ამხანაგებო, საჭიროა ეზოს დასუფთავება, თორემ სირცხვილია, ვინმე სტუმარი რომ მოვიდეს, დაგვძრახავს-ამბობს ასის თავი. ერთს წუთს ეზო დაგვილია და საამურად გამოიყურება. მუშაობენ კურსანტები და თან მხიარული სიმღერას აყოლებენ ზედ.

საღამო ჟამს, როცა დგება გაკვეთილების დამზადების დრო კურსანტები მიეშურებიან საკლასო ოთახებისკენ და გულმოდგინეთ ჩაუსხდებიან წიგნებს.

სწავლის შეძენის სურვილი ყველას აქვს. იციან, რომ მომავალში მათ მოელის რთული მუშაობა, რომ ისინი უნდა იქნენ არმიელების ხელმძღვანელები და ხარბათ ეწაფებიან სწავლის შეძენას.

ყველა კარგათ გრძნობს მომენტის სიდიადეს, ყველა გრძნობს, რომ ისიც არის მუშურ გლეხური ქვეყნის პატარა შემადგენელი ნაწილი და სცდილობს თავისი მუყაითობით შეიტანოს წვლილი საერთო საქმეში.

ე. ხუციშვილი.

**სამხკორებო მოგვაწოდეთ კორესპ. ახალწვეულების მოსვლის და მათი შეხვედრის შესახებ.**

## სტუმრად მე-6 ლეგ. დღესასწაულზე.

3 ოქტომბერს მე-6 ლეგიონს გადაეცა მისი შეფისაგან დროშა. ამ მნიშვნელოვან დღესასწაულზე მოწვეული იყო მე-2 არტლეგიონიც.

ლეგიონის გაშლილ პლაცზე დაიწყო ნაწილების საალლუმო გავლა. დაახლოებით 11 საათისთვის ლეგიონში მოვიდენ საშეფო კომისიელები ქ. ალმასკომსა და მთავარ სახლოსნოდან. მოიტანეს ლეგიონისთვის დროშები, რომლებიც გადაეცა მე-6 ლეგიონს ცაკის წევრების თანდასწრებით.

წინასწარ წარმოთქმული იქნა მრავალი მისალმებები სიტყვები მთელ რიგ ამხანაგების მიერ. ლეგიონმა მიიღო წითელი ფიცი, რომლის შემდეგ სიტყვებით გამოვიდა ამხ. მიხა ცხაკაია. მან მოუწოდა ტერ-არმიელებს მთელი თავისი არსებით ჩაებან სოფლად კულტურულ მუშაობაში და სხვა.

საზეიმო ალლუმის შემდეგ გაიმართა ლეგიონის ფეხბურთელთა შეჯიბრი.

3 საათზე კი საზეიმო სადილი.

მე-2 არტლეგიონის არმიელები ვესალმებით მეექვსე ლეგიონის არმიელებს და უსურვებთ ყველგან ამაყად აეფრიალებით ის წითელი დროშები, რომლებიც მათ მიიღეს მუშებიდან.

წ. არმ. ვ. ნ.

# წითელ არმიელების წერილებიდან.

### ნათლი-მამობას აქვს ადგილი.

ცხენოსანი ლეგიონი.

ცხენოსანი ლეგ. სამზარეულოში მსახურებენ სამი წითელ არმიელი, რომლებიც სადილის დარიგების დროს ძლიერ ცუდათ იქცევიან. პირველად სადილს აძლევენ თავის ნაცნობებს და მეგობრებს, რიგი არ არის დაცული და ხშირად მორიგეებს წყალწყალა კერძის აღება უხდებათ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს მათ ასეთ საქციელს და ერთხელ და სამუდამოთ აეკრძალოთ ნათლი-მამობა.

სამხკორი სევისწელელი.

### საჭიროა გაგვაგებინონ სურათების შინაარსი.

თბილისის სამხ. საავადმყოფო.

ამას წინად საავადმყოფოს ავადმყოფ არმიელებისათვის ნაჩვენები იქნა კინო სურათები, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა არმიელებზე, მაგრამ ქართველი არმიელები ბურუსში ვიყავით გახვეული, რადგან სურათის რუსულ წარწერებს ჩვენ ვერაფერს უგებდით. კარგი იქნება შემდეგში მაინც გადაგვითარგმნიდეს წარწერებს ვინმე ქართულად.

ავადმყოფი არმ. ლექაშელი.

### ვინ არის ვალდებული?

1-ლი მესანგრეთა ასეული.

რამდენიმე ხანია, რაც ჩვენს საკომენდანტო საყარაულოში არ მუშაობს საათი. არც არავინ აქცევს ყურადღებას, რომ შეაკეთონ ის. გუშაგები უხერხულ მდგომარეობაში არიან. არ იციან როდის უნდა გავიდენ და გამოეცვალონ ერთმანეთს.

დროა ბოლო მოეღოს ამ უთავბოლობას და გააკეთონ საათი.

სამხკორი უხასაძე.

### ჩვენ რა დავაშავეთ?

1-ლი ლეგ. ბატარეია.

პირველი ლეგიონის ბატარეია ამ ჟამად იმყოფება სამნეო გუნდთან. ლეგიონის თავის მიერ გაცემული ბრძანებები ორივე ნაწილებისათვის მოდის ერთად. ამ ნაწილების კანცელარიები კარგა მანძილით არიან ერთმანეთისაგან დაცილებული. ბრძანება ყოველთვის სამნეო გუნდის კანცელარიაში მიდის და იქედან შემდეგ ჩვენ უნდა მოვიტანოთ. საჭიროა აგვაცილონ სამნეო გუნდში ყოველთვის სირბილი და ჩვენი ნაწილი ცალკე ღებულობდეს ბრძანებას. ამის შემდეგ ადგილი აღარ იქნება იმ გაუგებრობას, რის გამოც ხშირად ღებულობენ ბატარეიის უფროსები საყვედურებს.

წ. არმ- ჩ ლი.

### სოფლებში გაგზავნილი წ. არმ. წერილები იკარგება

წითელ მოლაშქრეს უფლება აქვს გაგზავნოს თავის ოჯახში განსაზღვრული რაოდენობით წერილები უმარკოთ. მხოლოდ ისინი უნდა შეამოწმონ ნაწილის უფროსმა ან კომისარმა.

სამწუხაროდ ასეთი წერილები ვერ აღწევენ თავის ადგილას.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილები არ გადიოდენ თბილისიდან. წერილები უმთავრესად იკარგება მაზრებში და სოფლებში. ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები გულგრილად ეკიდებიან არმიელების წერილებს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას და ერთხელ და სამუდამოთ გამოსწორდეს ის.

სამხკორი მდივანიანი.

# პარტიული ცხოვრება

## გაერთიანებული პარტკრება.

### მეთაურთა სკოლა.

სკოლის კლუბში 2 ოქტომბერს გაიმართა ღია პარტკრება, რომელსაც პარტიის წევრთა და კანდიდატთა გარდა დაესწრენ თითქმის ყველა სკოლაში დარჩენილი კომკავშირელები და უპარტიონიც.

კრებაზე მოხსენება გააკეთა სკოლის უფროსმა ამხ. ტალახაძემ—საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

კლუბი სავსე იყო მსმენელებით. მაგრამ ორი თვის პარტ-მუშაობის შენელებამ შედეგად მოგვცა ის, რომ კრებას პარტიის წევრთა და კანდიდატთა ლიდი უმცირესობა დაესწრო...

განსაკუთრებულ ყურადღებით იქნა მოსმენილი მოხსენების ის ნაწილი, რომელიც დღევანდელ აღმშენებლობას და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ზრდას ეხებოდა.

მომხსენებელმა ნათლად გააშუქა ის საშინელი ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც შეჰქმნა მსოფლიო იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომებმა; დაწვრილებით აღნიშნა მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის დაცემის მთავარი მიზეზები, რის შემდეგაც მსმენელთათვის ნათელი გახდა ის ჯოჯოხეთური პირობები, რომლიდანაც საბჭოთა რესპუბლიკებმა დაიწყეს აღმშენებლობა.

მომხსენებელმა ციფრებით დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობის გამტკიცებამ, აღმშენებლობამ—ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და მით ჩვენს ისტორიულ მტრებს დაუმტკიცა ჩვენი არსებობისა და ზრდის უტყუარი გამართლება!

ამით აიხსნება, სთქვა მომხსენებელმა, რომ ჩვენ მრავალნაირი მნახველები, სტუმრები მოგვდიან და თითქმის ყველა მათგანი, თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებისას, ერთხმად ჰლაპარაკობენ საბჭოთა ქვეყნების გასაოცარ ეკონომიურსა და კულტურულ ზრდაზე.

მოხსენებაში დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ელექტროფიკაციის ზრდას, სასოფლო მეურნეობისა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს.

დასასრულ მომხსენებელმა შეკითხვებზე პასუხი გასცა, რის შემდეგაც გამოტანილი იქმნა შესაფერი რეზოლიუცია.

ამის შემდეგ კრებამ მიმდინარე საკითხები განიხილა.

სასურველია წარსული ორი თვის მინელებულ პარტ-მუშაობის ასანაზღაურებლად ხშირად გაიმართოს ასეთი შინაარსიანი მოხსენებები ახალ, მიმდინარე საკითხებზე.

ახლად მიღებული კურსანტები კრებას დიდი ხალისით შეხვდენ!

სამხკორი ჩვენი.

### ჩვენი პარტსკოლის საქმიანობიდან.

#### 3-ე ლეგიონი.

მესამე ლეგიონის პარტსკოლა თავიდანვე კარგ ნიადაგზე იყო დაყენებული. მანევრების დროს სკოლამ ცოტა შეასუსტა მეცადინეობა, რადგან ათასეულები თითქმის ყოველთვის ძლიერ ვიყავით ერთმანეთიდან დაცილებული. ამ ჟამად ამ უხერხულობას ადგილი აღარ აქვს. მანევრები დავათავეთ და სკოლა ისევ შეუდგა ჩვეულებრივ საქმიანობას,

14 სექტემბერს პირველად შესდგა პირველი საფეხურის პარტსკოლის მეცადინეობა. დაესწრენ ამხანაგების მთელი შემადგენლობა. აქამდე ძლიერ გაფანტული ვიყავით. ბოლო დროს საშვალება მოგვეცა ერთად ერთ შენობაში შეკრების და იმედი გვაქვს ეს ძლიერ წასწევს წინ მეცადინეობის საქმეს.

სამხკორი გიგანტი.

#### მეორე არტლეგიონი.

სექტემბრის შუა რიცხვებში შესდგა 2-რე არტლეგ. საგაუბიცო ბატარეის ღია კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა, რევოლიუციონური კანონიერების შესახებ ამხ. მაჩიტაძე. ამხ. ვრცლად შეეხო მის მნიშვნელობას და როგორ უნდა შეუწყონ ხელი წ. არმიელებმა მისი განმტკიცების საქმეს. მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც ფიცი დასდვეს წითელ არმიელებმა, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ხელი შეუწყონ რევ. კანონიერების განმტკიცებას, როგორც ყაზარმაში, ისე სოფლად.

წ. არმ. ფიქრის გორელი.

#### 6-ხე ტერ. ლეგ. სკოლის უჯრედის საქმიანობა.

25 სექტემბერს შესდგა ლეგიონის სკოლის უნცროს მეთაურთა კომუჯრედის ღია კრება. დღის წესრიგში დასმული იყო მრავალი პრაქტიკული ხასიათის საკითხები.

სკოლის სამწყობრო დარგის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გუჯუნავამ. ამხანაგი, დაწვრილებით შეეხო თუ რამდენად ამაღლდა კურსანტების მომზადების დონე, მათ საერთო მომზადებას, საპროგრამო გეგმის გავლის საქმეს და სხვა.

ამხანაგმა მრავალ საშვალებებს მიუთითა, რომლითაც შეიძლება დაინტერესებული იქნენ წ. არმიელები საერთო ცოდნის და განვითარების მიღებაში. უჯრედის დახმარებით საქ-

ირთა ხშირად ეწყობოდეს გასამართლებები—დისციპლინის დამრღვევ კურსანტებისა და ლიტერატურული ხასიათის მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე; ოცისთავები უნდა აწყობდენ კითხვა პასუხებს, ლატარეიას და სხვა რაც კი მათ დააინტერესებთ.

სკოლის სამხედრო და პოლიტმუშაობა დიდი შედეგებით ხასიათდება, სამნეო მდგომარეობაზე მოხსენება დამაკმაყოფილებელი იყო. მომხსენებელი შეეხო რა სკოლის წ. არმიელების კვების საქმეს, აღნიშნავს რომ ის კარგად არის დაყენებული და გიგიენურადაც თავის სიმაღლეზე სდგას.

სამხკორი ვ. დოლიძე.

# ახალი ამბები.

— წითელ არმიელების მომზადება. ქართ. დივ. ნაწილებთან არსებულმა სამთვიანმა კურსებმა უკვე მოახდინეს მსმენელების გამოშვება. კურსები დაასრულეს 207 კაცმა, რომელნიც უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ გაიგზავნებიან ქოხ-სამკითხველოების გამგეებათ.

— საექიმო დახმარება წითელ-არმიელებს. ჯანსახკომი ამჟამად იმუშავებს წითელ-არმიელთათვის საექიმო დახმარების გეგმას.

— აზერბეიჯანში გამართულ დოღზე ჯერ-ჯერობით იმარჯვებენ საქართველოდან გაგზავნილი ცხენები.

— მუზეუმის მოწყობა. ტფილისში ეწყობა ახალი მუზეუმი, სადაც შენახულ იქნება ა. კავკასიაში შემოსატანი და გასატანი საქონლის ნიმუშები.

# მეცნიერება და ტეხნიკა

უდიდესი ძალა აქამდე ცნობილ ძალებს შორის.

ატომების ენერგია უდიდესი ძალა, მეცნიერების მიერ აქამდე აღმოჩენილ ძალათა შორის. ეს ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ატომების მეტად მცირე მოცულობას. მაგრამ მთელი საქმე მდგომარეობს შემდეგში: წარმოვიდგინოთ ხუთ ტონიანი (ერთი ტონი უდრის 61 ფუთს) საბარგო ავტომობილი, რომელიც გადის საათში ერთ კილომეტრს და არტილერიის 50 კილოგრამიანი (კილოგრამში $2^1/_2$ გირვანქაა) ჰურვი, რომელიც მიჰქრის 600 მეტრის სიჩქარით წამში (სეკუნდა). თუ საბარგო ავტომობილი და ჰურვი დაეტაკებიან აგურის კედელს, ცხადია რომელ შემთხვევაში უფრო დიდი იქნება დანგრევის ძალა: ჰურვი გახვრეტს კედელს იმ დროს, როდესაც საბარგო ავტომობილი გაჩერდება და არავითარ ზიანს არ მიაყენებს კედელს.

ატომის უდიდესი ენერგიულობას საიდუმლოება მდგომარეობს მისი ელექტრონების ძლიერ ჩქარ მოძრაობაში. ამ გარემოებამ საშვალება მისცა მეცნიერებას შეესწავლათ და გადაეღოთ ატომის ფოტოგრაფიული სურათიც კი.

არის ერთი ლითონი, რომელსაც რადიუმს უწოდებენ. ეს ლითონები იშვიათად თუ სადმე მოიპოება თავისუფალ მდგომარეობაში. ის სხვა ნივთიერებებთან შეერთებაში იმყოფება. რადი უშვებს სხივებს და შემდეგ ის რომ დაიწრიტება ამ ატომებისაგან (სხივები არიან რადიიდან გამოყოფილი ე. წ. მსუბუქი გაზი რელიუმის ატომები) ის იქცევა ტყვიათ.

ერთმა მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ რადიო აქტიური ნივთიერებისაგან გამოშვებული ატომები იძლევიან სინათლის სხივებს, რომლების დანახვა ადვილად შეიძლება ეკრანზე. ამ მოვლენამ შესაძლებელი გახადა წინად მოხსენებულ მეცნიერი ქალი კიურისათვის, რომ გადაეღო ატომისა და მისი მოძრაობის ფოტოგრაფიული სურათები.

ბევრი რამ გაიგეს ატომის ფორმის, აგებულების და მასში თავმოყრილი ძალის შესახებ, მაგრამ ამ ძალის გამოყენება ჯერ კიდევ ვერ შესძლეს. გამონახული იქნა ელექტრონებზე ზედმოქმედების მეთოდები, მაგრამ იმისათვის, რომ დაშალონ ატომის ბირთვი, მეტი ძალაა საჭირო, ვინემ ამ ჟამად შეუძლია მეცნიერებას გამონახოს.

# პასუხი შეკითხვებზე.

კითხვა. მეხუთე ლეგ. ძირითად შემადგენლობას, რომელიც მიდის უვადო შვებულებაში მიეცემა თუ არა მაზარა?

არბოლიშვილი.

პასუხი. მოგეცემათ.

კითხვა. ნოემბერში მითავდება სამსახურის ვადა. მინდა შევიდე მუშფაკში. როგორ მოვახერხო ეს და ვის უნდა მივმართო?

მაღრაძე.

პასუხი. მუშფაკში შესვლა დაგვიანებულია.

კითხვა. როდის წავლენ უვადო შვებულებაში არტლე-გიონის წ. არმიელების მეორე 50 პროც.?

ვ. კვანტალიანი.

პასუხი. წავლენ არა უგვ იანეს პირველ დეკემბრისა.

კითხვა. № მაზრის სამხედრო კომისარიატში ვართ წ. ა. რომლებიც ვიღებთ ხელზე სურსათ-სანოვაგეს (მოსახარში) მე-4 ლეგიონიდან, ს. ს. ს. რ. ტერ-სამართველო გვიგზავნ[ის] ფულის ტალონს, რომელშიაც სწერია: „კომისარიატში მყო[ფ] წ. ა. მოსახარშის კმაყოფის მაგიერ თითოს ეძლევა ამდენ[ი] და ამდენიო. კომისარიატი კი ამ ფულს არ გვაძლევს, რად[გ]ან სურსათს ილებთო სურსათს რომ მოხარშვა უნდა ა[მას] არ კითხულობს. გვერგება თუ არა ეს ფული?

წ. ა. ტერიშვილი.

პასუხი. წითელ-არმიელებს ეკუთვნის ერთი ულუფა [და] ნატურით გაცემისას კიდევ ფულადაც გაცემა არავითარ კა-ნონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის.

კითხვა. წითელ-არმიელების ოჯახებს გადახდებათ თუ არა გადასახადი?

ყეზრა თარონიშვილი.

პასუხი. თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 152[0 წ]ითელ-არმიელების ოჯახები იხდიან გადასახადის ნახევარს.

კითხვა. დიდ წყლობამ მე მომცა ზარალი. წაიღო სახლის ხის მასალა, რომელიც მქონდა დამუშავებული და ერთიანად გამინადგურა ყანა. ვის უნდა მივმართო, რომ ზარალი მომეცეს?

წ. არმ. გ. კილაძე.

პასუხი. მიმართეთ ლეგთავს შუამდგომლობის აღსა[ძ]რავად აღმასკომში დახმარების შესახებ.

კითხვა. ჯარში გამოწვევამდე მე ვმსახურებდი რკინი[ს] გზაზე, ვიყავი დაზღვეული. შემძლო თუ არა ჩემს ესარგებლა უფასო სამგზავრო ბილეთით?

წ. არმ. ა ქარქაშაძე.

პასუხი. სამსახურიდან დათხოვნის დღიდანვე ეკარგება ყველა სამსახურებრივი უფლებები და მათ შორის უფასო რკინის გზის ბილეთით სარგებლობაც.

კითხვა. ვარ წ. არმიელი გლეხი უპარტიო; ვაპირებ მუშფაკში შესვლას. შეიძლება თუ არა ვისწავლო სახელმწიფო ხარჯზე?

ხურციძე.

პასუხი. წითელ-არმიელი მიღებული მუშფაკში ან სხვა სასწავლებელში თავისუფლდება სწავლის ფულისაგან?

კითხვა. გვაქვს ბაღი, რომელსაც ვამუშავებდით მე და მამაჩემი. ჯარში გაწვევის შემდეგ მამაჩემი მარტო ველარ ამუშავებს. შეუძლია თუ არა მამაჩემს ჩემი განთავისუფლებამდე იჯარით გასცეს ბაღი?

წ. არმ. ვ. ნა—ლი.

პასუხი. შეუძლია გასცეს იჯარით.

კითხვა. 1-ლ ლეგიონში ვართ რამოდენიმე კაცი ზედმეტ მსახურნი, რომლებიც თავისუფლდებიან 1902 წ. დაბადებულებთან ერთად. მეორე ხარისხის ტანსაცმელი ჩვენც მოგვეცემა თუ არა?

პასუხი. მეორე ხარისხის ტანსაცმელი გეკუთვნით.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. ის. გ—ნას. (მე-5 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „მე-5 ლეგიონი ალლუმზე“ არ დაიბეჭდება. თქვენი ლეგიონის ალლუმის შესახებ უკვე იბეჭდება ჩვენს გაზეთში,

ამხ. 1000-ს (მე-5 ლეგ.) თქვენი წერილი „კინო სურათები არმიელთათვის“ არ დაიბეჭდება წვრილმანია.

ამხ. ახალციხელს (მე-5 ლეგ). წერილი „განგაში მე-5 ლეგიონში არ გავა.

ამხ. უზულაშვილს (მე-2 არტლეგ.) კორესპონდენცია „ასეთ საქციელს მივაქციოთ ყურადღება“, გამოდგება კედლის გაზეთის მასალად.

ამხ. არბულიშვილს (მე-5 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „თავხედობას ბოლო უნდა მოეღოს“ გადაეგზავნა ნაწილის უფროს საქმის გამოსარკვევად.

ამხ. ჩახაიას (ცხენ. ლეგ.) თქვენი წერილი გამოდგება კედლის გაზეთში.

# განცხადებები

დაკარგე საარიცხ. სამხედრო ნუსხა მოცემული ხონის სამხედრო მაგიდის მიერ რაჟდენ ბახტაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პარტ-ბილეთი მოცემული 1-ლ ქართულ დივიზიის პარტკომისიიდან № 599905 1924 წლის 26 ოქტომბრიდან მიხეილ დომენტისძე სიხარულიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.